# აქცია - ქეშბექი კრედო ბანკის Mastercard ბარათით გადახდებზე

## ტერმინთა განმარტებები

| | |
|---|---|
| ბანკი: | სს „კრედო ბანკი“ |
| აქცია: | აქციის განმავლობაში “კრედო ბანკის” ნებისმიერი მასტერქარდ სადებეტო ბარათის (როგორც ფიზიკური, ასევე ციფრული ბარათის) გამოყენების შემთხვევაში მომხმარებლებს ეძლევათ შესაძლებლობა ჩაერთონ ქეშბექის აქციაში და ისარგებლონ სააქციო პირობებით. |

### 1.1. აქციაში მონაწილეობის პირობები

1.1.1 აქციის პერიოდში „კრედო ბანკის“ ნებისმიერი მასტერქარდ ბარათით „კრედო ბანკის“ პოსტერმინალზე მიდეას მაღაზიათა ქსელში (შპს „ემტექნიკსი“ ს/ნ 404981098) და მიდეას ბრენდირებულ მაღაზიებში გადახდისას თანხის 30% , მაქსიმუმ 300 ლარი მომხმარებელს ანგარიშზე დაუბრუნდება.

1.1.2 აქციის მოქმედების პერიოდი: 27,28 და 29 ნოემბერი

### 1.2 აქციის პირობები:

1.2.1 აქციის პერიოდში „კრედო ბანკის“ ნებისმიერი მასტერქარდ ბარათის მფლობელებს, მიდეას მაღაზიათა ქსელში (შპს „ემტექნიკსი“ ს/ნ 404981098) კრედო ბანკის პოსტერმინალზე შესრულებული გადახდის შემთხვევაში ანგარიშზე დაუბრუნდებათ გადახდილი თანხის 30% - მაქსიმუმ 300 ლარი.

1.2.2 ქეშბექის მაქსიმალური თანხა აქციის პერიოდში - 300 ლარის ოდენობა თითოეულ მომხმარებელზე მიუხედავად გამოყენებული ბარათების რაოდენობისა.

1.2.3 შეთავაზება მოქმედებს შემდეგ ფილიალებში:

**მიდეას შოურუმები:**

- თბილისი, დიღმის მასივი, ბელიაშვილის ქ. N 47
- თბილისი, დიდი დიღომი, ფარსადანის ქ. N7
- ბათუმი, ლეხ და მარია კაჩინსკების ქ. N1ა

**მიდეას ბრენდირებული მაღაზიები:**

- ქუთაისი, რუსთაველის ქ. N97/99,
- ქუთაისი, ჭავჭავაძის ქ. N41
- თელავი, აღმაშენებლის ქ. N43
- საჩხერე, გომართელის ქ. N14
- ახმეტა, ალაზნის გამზ N 6
- გურჯაანი, ნონეშვილის ქ. N2
- საგარეჯო, თამარ მეფის ქ. N5დ
- გორი, პუშკინის ქ. N2გ

1.2.4 ქეშბექი  მოქმედებს მიდეას ბრენდის სრულ ასორტიმენტზე როგორც მიდეას ბრენდირებულ მაღაზიებში, ასევე შოურუმებში.

1.3 აქციის პერიოდში ქეშბექის დარიცხვა მოხდება შემდეგი პრინციპების მიხედვით:

1.3.1 აქციის დაწყებიდან დასრულებამდე, გადამოწმდება ყველა  გადახდა რომელიც შესრულდა მიდეას  მაღაზიათა ქსელში (შპს „ემტექნიკსი“ ს/ნ 404981098) „კრედო ბანკის“ პოსტერმინალზე, „კრედო ბანკის“ სადებეტო მასტერქარდ ბარათით.

1.3.2. ქეშბექის თანხების დარიცხვა მოხდება კამპანიის დასრულებიდან ერთი კვირის განმავლობაში.

1.3.3 თუ 1.2.2. პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ მაქსიმალურ ლიმიტს სცდება დასარიცხი ქეშბექის ჯამური თანხა (300 ლარის ოდენობა), ბანკი იტოვებს უფლებას არ დაურიცხოს მომხმარებელს დაწესებულ ლიმიტზე მეტი თანხა.